სემინარის თემის დასახელება:

<u>ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი</u>

დოქტორანტი ***მარიამ მენაბდე***
*ხელმძღვანელი: სრული პროფესორი**ელენე კალანდაძე***
სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
ქ.თბილისი, კოსტავას 72, +995 577-775-116
E-mail:archibiba@yahoo.com

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, რომელზედაც გვსურს ვისაუბროთ არავითარი საერთო არა აქვს სახლებთან, რომელთა ერთადერთი თავისებურებაა მათ მფლობელთა განსხვავებული ვინაობა.მათი ინდივიდუალური ხასიათი ეს არის წარმოსახვის ნაყოფი.ისინი მსგავსნი არიან არა მარტო იერსახითა და ნაკვეთის დაგეგმარებით, ასევეშეიძლება აღჭურვილობითა და ავეჯით.

ჩვენს რეალობაში, სულ რამდენიმე წლის წინ ჩატარდა კონკურსი ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე კონკრეტული რეგიონების მითითებითა და ასევე ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით.წარმოდგენილი პროექტები შერჩევით გამოქვეყნდა მერიის საიტზე, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეარჩიოს მისთვის სასურველი პროექტი და ააშენოს შესაბამის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ ჩნდება კითხვა არის ეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ? ასეთი სახლის მშენებლობა უკვე განმეორებითია, რადგან ნებისმიერ მსურველს შეუძლია მისი განხორციელება, თანაც არქიტექტორი ხომ არ აპროექტებს სახლს კომფორტული პირობებისათვის იგი აბსტრაქტულად მუშაობს აბსტრაქტული მფლობელებისთვის. მან არ იცის მათი ხასიათი მათი მოთხოვნები და სურვილები. ამიტომ ინდივიდუალური სახლების იდეა უფრო მეტად ტიპობრივ სახლებს წააგავს.

ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე ძირითადად სხვადასხვა ასპექტები ახდენენ ზეგავლენას და მას აძლევენ გარკვეულ მიმართულებას.

- არსებული ბუნებრივი გარემო (გარემოში იგულისხმება ლანდშაფტი)
- ხელოვნური გარემო (არსებული განაშენიანება)
- გეოგრაფიული მდებარეობა
- კლიმატური პირობები
- მფლობელის გემოვნება ან თუნდაც მისი პროფესია
- დემოგრაფიული მდგომარეობა

რადგან არ არსებობს ერთნაირი გარემო, რელიეფი და ადამიანი. სწორედ ამიტომ არის სახლი ინდივიდუალური აქ არქიტექტორი იხსნება მთელი თავისი შესაძლებლობებითა და ნიჭით.

სახლი ხდება ცნობილი და განსაკუთრებული თუ მას ახლავს სახელი პოპულარული არქიტექტორისა ან მფლობელის. ის უნდა წარმოადგენდეს რაღაც განსაკუთრებულს ახალს, როგორც ვიზუალურად ასევე ფორმით. რა თქმა უნდა მის გახმაურებას უწყობს ხელს გარკვეული ინფორმაცია თუ გინდ "ლეგენდის" სახითაც- რომ ააშენა ცნობილმა არქიტექტორმა ან აქ ცხოვრობდა გამოჩენილი ადამიანი. და ეს მცირე გაბარიტიანი სახლები, ინდივიდუალური სახლები ფლობენ მიმზიდველობას, რა თქმა უნდა მათში ჩადებული განხორციელებული ძალიან გამოკვეთილი ორგანული იდეით .

1925 წელს გადაწყდა ქ. შტუტგარდში საცხოვრებელი სახლების არქიტექტურის გამოფენის მოწყობა.გამოფენას ხელმძღვანელობდა ლუდვიგ მის ვან დერ როე. 1927 წელს დაიწყო სამუშაოები გამოფენისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე. გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა არქიტექტორებმა, მათ შორის პიტერ ბერენსმა, ვოლტერ გროპიუსმა, ლე კორბუზიემ.სულ 14 არქიტექტორი მონაწილეობდა. მათ მიეცათ სრული თავისუფლება შემოქმედებისა. ერთადერთი პირობის დაცვა იყო აუცილებელი - ნაგებობას უნდა ჰქონოდა ბრტყელი გადახურვა.გამოფენა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა თავის მრავალფეროვანი ნაგებობებით. აქ იყო მცდელობა ტრადიციის მაქსიმალურად მიახლოებისა ახალ არქიტექტურასთან,აქ წარმოდგენილი ყველა ნაგებობის გეგმარებითი გადაწყვეტა დახასიათდა ძალიან მოკლედ- ეს იყო "ლოგიკა და სინათლე"

ლე კორბუზიემ ზემოთ ნახსენებ შტუდგარტის გამოფენაზე წარმოდგენილი ვილა სავოი(1928-30)(იხ.სურ 15,16), რომელიც სწორედ ამ გამოფენის შემდეგ გახდა ასეთი ცნობილი.აქ მართლაც წარმოდგენილია "ლოგიკა და სინათლე" ვილა სავოი აშენდა პუასენეში, სოფლის პეიზაჟის გარემოში, ბეტონის თხელ ხიმინჯებზე. სხვადასხვა დონეზე განთავსებული ტერასები, გადასასვლელი ხიდები, პანდუსები და კიბეები, გამჭოლი სივრცეები, მოძრაობის დროს ცვალებადი და გახსნილი მოულოდნელი ხედები, შენობათა ნაწილებს შორის სინათლე-ეს ხერხები ეფუძნება პრინციპს "სივრცე დროში".

შენობამ უდდესი გავლენა მოახდინა არქიტექტორთა შემდგომი თაობების განვითარებაში.
ამ შენობაში ისევე როგორც დანარჩენ ნაგებობებში, ლე კორბუზიემ თავისი არქიტექტორული იდეები რკინა ბეტონის დახმარებით გადაწყვიტა.

ამ თემის განვითარება შეიძლება განისაზღვროს, როგორცგადასვლა მზიდი კედლებიდან და ტიხრებიდან კარკასულ კონსტრუქციებზე, მაქსიმალური მოქნილობით და თვითოეული სართულის დაგეგმარების მრავალფეროვნებით.

ეს ინდივიდუალური სახლები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მაგრამ აქვთ საერთო:

- სამხრეთის ორიენტაცია ფართო ფანჯრებით
- უარყოფილია დერეფნები
- შეთავსებულია სასადილო-სამზარეულო
- მკვეთრად გამიჯნულია სათავსოები ფუნქციების შესაბამისად
- გათბობა მოწყობილია იატაკქვეშ
- თბილი სასხვენო გადახურვა
- ჩაშენებული ავეჯი

ყველაზე საინტერესო ალბათ იმ არქიტექტორების ნამუშევრებია, რომელთა მფლობელებიც თავად არიან. მათ აქვთ უფლება იცხოვრონ ისეთ სახლებში როგორზეც ისინი ოცნებობენ, რადგან მათ აქვთ იმის ნიჭი, რომ თავისი ოცნების სახლს ხორცი შეასხან და რეალურად აქციონ.არქიტექტორები ძირითადად თავისი სახლებისათვის ირჩევენ ნაკვეთს ახლოს ბუნებასთან. ეს შეიძლება იყოს პარკი, ან ნაკვეთი მთაში ან ახლოს წყალთან, ტბასთან და მდინარესთან.ან საერთოდაც ნაკვეთი კარგი ხედით.
როდესაც ბუნებაზე ვსაუბრობთ პირველ რიგში რათქმაუნდა აზრად მხოლოდ ერთი არქიტექტორის სახელი მოდის - ფრანკ ლოიდ რაიტი

ფრა ნ კ ლოი დრა ი ტი

სრულიად ახალი სტილი და მიმდინარეობა შექმნა ფრენკ ლოიდ რაიტმა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა (1869-1959წ.), რომელმაც თავის შემოქმედებაში გააერთიანა ამერიკული ტრადიციული არქიტექტურა და ექსპერიმენტები, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებზე იყო დაყრდნობილი.
არქიტექტორზე დიდი ზეგავლენა მოახდინა იაპონურმა არქიტექტურამ, რომელიც წარმოდგენილი იყო საერთაშორისო გამოფენაზე 1893წ. ჩიკაგოში.მსბუქი კარკასი, ერთიანი სივრცე მოძრავი ტიხრები მინიმუმამდე დაყვანილი ავეჯით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მისი

დამოკიდებულება ბუნებასთან. იაპონური საცხოვრებელი სახლის ზეგავლენას რაიტის ნამუშევრებში მარტივად შევამჩნევთ.
1893წ. რაიტმა დაიწყო მუშაობა ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებზე საშუალო ფენისათვის, რამაც სულ მალე უდიდესი პოპულარობა მოუტანა არქიტექტორს.
1892-1909წწ. 25 სახლზე მეტი ჰქონდა დაპროექტებული მათ შორის საკუთარი საცხოვრებელი სახლი და საყოველთაოდ ცნობილი 'სახლი ჩანჩქერზე', (იხ.სურ.1)რომლებიც დღეს მუზეუმებადაა ქცეული.
სახლმა გაითქვა სახელი მას სტუმრობდა უამრავი ადამიანი, ცნობილი პიროვნებები, ცნობილი არქიტექტორები როგორებიც არიან: ალვარ აალტო, ფილიპ ჯონსონი და სხვები.თვითონ რაიტი ხშირად იყო აქაურობის სტუმარი.კაუფმანების შვილი სწერდა:"ამ სახლში ცხოვრება ნიშნავს არსებობის რაღაც ახალ დონეს".
ომის დროს შენობა დაზიანდა მოუვლელობის გამო, არ იყო გათბობა და მეპატრონეებიც კაუფმანები გადავიდნენ საცხოვრებლად კალიფორნიაში. მათი სიკვდილის შემდეგ სახლს პატრონობდა მათი შვილი ედგარ კაუფმანი- უმცროსი,რომელიც ცხოვრობდა ნიუ-იორკში.
1965წ. შენობა გრიგალმა დააზიანა მის აღსადგენად შეიქმნა სპეციალური ფონდი. დღეს სახლი მუზეუმს წარმოადგენს და მისი ნახვა მსურველებს ყოველთვის შეუძლიათ.
რაიტის უზარმაზარი ნამუშევრებიდან რთულია შერჩევა რომელიმე პროექტისა თუმცა მაინც შემოგთავაზებთ პროექტს სადაც ყველზე მეტადაა გამოხატული არქიტექტორისა და დამკვეთის ურთიერთობა. თუ როგორ იმოქმედა რაიტზე დამკვეთის პროფესიამ მისმა ხასიათმა თუ გატაცებამ.
1909 წ. ჩიკაგოში რაიტმა დააპროექტა თავისი ერთ ერთი ბოლო ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, რომელიც ინჟინერ ფრედერიკ რობის ეკუთვნის.ფრედერიკ რობი იყო ინჟინერი, გამომგონებელი, რომელიც მოტოციკლისა და მანქანების მოდელებს ქმნიდა. (იხ.სურ 2,3)მისი მოთხოვნაც თავის გატაცებას გავდა.სახლი ისევე უნდა მუშაობდეს როგორც მანქანა ყველანაირი მორთვისა და დეკორატიული გაფორმების გარეშე.სახლი დგას ხმაურიან ქუჩაზე მას ჰორიზონტალური მოგრძო ფორმები აქვს როგორც ფასადზე ასევე გეგმაშიც.მთელი პირველი სართული ერთიანი სივრცეს წარმოადგენს, რომლის შუაშიც ბუხარი დგას.სახლს ორივე მხრიდან ტერასები აქვს უზარმაზარი კონსოლებით გადმოწეული.სახლი მოწყობილია იმ დროისათვის თანამედროვე ტექნიკით სადა ავეჯითა და გარდამავალი ფერებით. დღეს კი ეს უნიკალური საცხოვრებელი სახლი მუზეუმადაა ქცეული.

ალვარ აალტო

რაიტის შემდეგ ბუნებისადმი დამოკიდებულებით შეგვიძლია გავიხსენოთ არქტექტორი ალვარ აალტო

ალვარ აალტო მე-20 საუკუნის მსოფლიოში ყველაზე ცნობილი არქიტექტორია.მას 200-ზე მეტი შენობა აქვს დაპროექტებული
აალტოს დამოკიდებულება ბუნებრივი გარემოსადმი ყოველთვის ეფუძნება ბუნების ფასეულობის ღრმა რწმენას,რომლისგანაც განუყოფელია ხალხის, ადამიანების მოღვაწეობა... აალტო მიილტვის ბუნების გაკეთილშობილებისაკენ, იყენებს ყველაფერს მისგან ნაბოძებს, ყოველ განუმეორებელ ფრაგმენტს, ყოველ უნიკალურ დეტალს.

აალტოს ნაგებობებს ახასიათებს არა მარტო "შიდას" და "გარეს" შორის მჭიდრო კავშირი, მათი ურთიერთწვდომა და მონაცვლეობა; შენობის ერთიანობას ბუნებასთან ხელს უწყობს ასევე სივრცითი ფორმების ინდივიდუალური თავისებურებანი, მათი კონტურების პლასტიკური მოქნილობა.

მრავალწლიანი პრაქტიკის განმავლობაში აალტომ გამოიმუშავა შენობის ურთიერთკავშირის ხელშემწყობი მთელი რიგი კომპოზიციებისა. ამ მხრივ საინტერესოა არქიტექტორის სახელოსნო, რომელიც მცირე შიდა ზომის ეზოს ირგვლივაა მოწყობილი.(იხ.სურ 4,5) ეზოს, როგორც ინტერიერისა და გარემოს დამაკავშირებელი რგოლის ირგვლივ სივრცის ფორმირება, ხშირად გვხვდება აალტოს შემოქმედებაში.

იქიდან გამომდინარე, რომ აალტო ხშირად თავის ნამუშევრებს თავად აღწერს ხოლმე, რათა მნახველმა უკეთ გაიგოს რა ქონდა არქიტექტორს ჩაფიქრებული და როგორ განახორციელა რეალურ ცხოვრებაში ამიტომ მისივე აღწერას შემოგთავაზებთ საკუთარი სტუდიის შესახებ.

"არქიტექტურა არ შეიძლება დაიბადოს ჩვეულებრივ ოფისში ამიტომ გაჩნდა აუცილებლობა შექმნილიყო ახალი ტიპის სახელოსნო არქიტექტორისათვის.

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ ჩემ სახელოსნოსაც.

სხვა ოფისებისგან განსხვავებით ამ სახელოსნოში მეტად მშვიდი გარემოა აქ საკმარისი ფართია იმისათვის, რომ ყველა არქიტექტორმა თავის შემოქმედებით საქმიანობას მიჰყოს ხელი."

ერთი დიდი სამუშაო სტუდია, რომელიც როგორც ჯგუფური მუშაობისთვის ასევე მარტო პროექტირებისთვისაც არის კომფორტული გარემოსთან ყრუ კედლითაა გამოყოფილი და მთლიანად გახსნილია შიდა ეზოში, ხოლო ამ ყრუ კედელზე პროექტორის საშუალებით ჩვენებებისა და ლექციების მოწყობაა შესაძლებელი.

"ვილა მაირეი" 1938-1939წ

გარდა ამისა გვინდა წარმოვადგინოთ აალტოს მიერ შესრულებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, რომელიც თავის მეგობრებს დაუპროექტა გერი და მაირი გულიკსენებს. მაირი გახლდათ მხატვარი და სწორედ მისი სახელი ეწოდა ამ შენობას. (იხ.სურ 6,7)

სახლი მაღლობზეა განთავსებული და მას გარს ტყე აკრავს.სახლის ნაწილი მეტალის კონსტრუქციებითაა აშენებული ხოლო მეორე ნაწილში გამოყენებულია აგური და ბლოკები.ფასადზე გამოყენებულია ხის მასალა , რომელიც კიდევ უფრო მეტად აახლოვებს არქიტექტურას გარემოსთან. ეზოში მოწყობილია ბასეინი ქვის ბილიკებითა და დეკორატიული გამწვანებით. სახლის გეგმარება საკმაოდ საინტერესოდაა გადაცყვეტილი. თავდაპირველად არქიტექტორ სურდა დიდი სივრცე გამოეყო და საგამოფენო დარბაზი გაეკეთებინა სადაც გამოიფინებოდა მეპატრონის ნახატები, თუმცა თავად მფლობელებმა არ მოისურვეს.მათ მეტად მყუდრო გარემო სურდათ ამიტომ აალტომ ეს პრობლემა საინტერესოდ გადაჭრა. მოძრავი ტიხრების საშუალებით დიდი ფართი ისე გაანაწილა, რომ მეპატრონეებს თავად შეეძლოთ ან შეექმნათ დიდი გალერეა ან ისე გადაეტიხრათ, რომ სულაც არ გამოჩენილიყო დარბაზი. სახლს გარშემო უზარმაზარი ვიტრინები აქვს რომლის გახსნის საშუალებითაც სახლი მთლიანად ნიავდება და თითქოს ბუნებაც შიგნით შემოდის.

მის ვან დერ როე

გერმანელი არქიტექტორის მის ვან დერ როეს შემოქმედება ბერლინიდან დაიწყო.პიტერ ბერნსის სახელოსნოში სადაც იმ დროს გროპიუსი და კორბუზიე მუშაობდნენ.
1910წ. ბერლინში ფრანკ ლოიდ რაიტის გამოფენა ჩატარდა, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მის ვან დერ როეზე.
1930წ. დააპროექტა ვილა ტოგენდხატი ბრნოში, რომელსაც დეტალურად ავღწერთ.(იხ.სურ. 8)
ის წერდა, რომ “ფუნქცია შეიძლება შეიცვალოს დროსთან ერთად ამიტომ ის არ შეიძლება იყოს განმსაზღვრელი ფაქტორი არქიტექტურული ფორმის შეცვლისას.” ამ მოსაზრებით ის შეეწინააღმდეგა ევროპულ რაციონალიზმს, რომლის პრინციპი გახლდათ: “ ფორმა მიყვება ფუნქციას.”
შემინული ვილა ფერდობზე, ითვლება მსოფლიო ფუნქციონალიზმის შედევრად.
შესანიშნავადაა გამოყენებული მისი ფუნქციური განაწილება რელიეფთან მიმართებაში.ბუნება ხელოვნურად კი არ არის შესწორებული არამედ პირიქით შენობა მორგებულია რელიეფს.ზედა სართულზე რომელიც ქუჩის მხრიდან ერთ სართულად მოგვეჩვენება განთავსებულია მისაღები და საძინებლები. დახვეულ კიბეს კი ქვედა სართულზე ჩამოვყავართ სადაც გვხვდება მთავარი საცხოვრებელი სივრცე.ის დაყოფილია ოთხ ძირითად ზონად: სასადილო, სასტუმრო ოთახი, კაბინეტი და მუსიკალური სალონი.ამ ყველაფერს კი აერთიანებს სახლის შუაგულში მოწყობილი ზამთრის ბაღი რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს არქიტექტორის დამოკიდებულებას ბუნებისადმი. უზარმაზარი მინის ტიხრები აკავშირებს

შენობას გარემოსთან და რომლის გახსნის შემთხვევაში ოთახი ერთ დიდ ტერასად იქცევა შეჭრილი ბუნებაში.(იხ.სურ. 9,10)
ამ შენობის ნახვისას გამოწვეული აღფრთოვანება იწვევს არა ძვირადღირებული მასალები რომლებიც გამოყენებულია მშენებლობისას არამედ არქიტექტორის ხედვა და დამოკიდებულება გარემოსადმი.ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების გადაკვეთა ჰარმონიულადაა გამოხატული .
სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ომის დროს ეს უნიკალური შენობა ისე დაზიანდა, რომ მისი აღდგენა დღემდე შეუძლებელია.

ლე კორბუზიე

შარლ ედუარდ ჟანერე (ლე კორბუზიე) არქიტექტორი, დიზაინერი ფერმწერი და პუბლიცისტი ის იყო ევროპული ავანგარდის ლიდერი.ინდივიდუალური სახლის შექმნისას მისი ამოცანა არ ყოფილა მაქსიმალური სივრცის დატვირთვა და რაც შეიძლება მეთი სათავსოს მოწყობა არამედ პირიქით ის ცდილობდა სივრცე გაეხსნა რათა ადამიანებს თავისუფლად ეგრძნოთ თავი და ქონოდათ შესაძლებლობა თავისუფლად მოძრაობისა ურთიერთობისა და კომუნიკაციისა გარემოს აღქმისა და გარშემომყოფთა თავისუფლად დანახვისა.
კორბუზიეს არქიტექტურული ენა მარტივი იყო: “კუბი, კონუსი, ცილინდრი და სფერო”თანამედროვე არქიტექტურაში და მშენებლობაში პრობლემები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ გეომეტრიის საშუალებით ამბობდა ის.მისი გეომეტრიული ფორმები და ამასთანავე განსხვავებული გეგმარება და ინტერიერი გვაჩვენებს, რომ კორბუზიე ნამდვილად დიდებული არქიტექტორია და ამასთანავე მხატვარიც და სწორედ ამ თვისებების გამო იწვევს მისი ნამუშევრები ასეთ აღფრთოვანებას.
კორბუზიეს ნამუშევრებიდან ორს გამოვყობთ:
1923წ. მან მიიღო დაკვეთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა ბანკირ რაულ ლა როშესაგან, რომელიც იყო ფერწერული ტილოების კოლექციონერი. (იხ.სურ.11,12)შენობა განთავსდა მშვიდ და წყნარ ქუჩაზე პარიზში.პროექტი თავიდანვე შეზღუდული იყო გაბარიტებში როგორც ნაკვეთის ზომა ასევე სიმაგლეში.არქიტექტორმა დამკვეთის მოთხოვნა ასე დააკმაყოფილა: შენობა ორ ნაწილად გაყო
საჯარო ზონა - სადაც განთავსებულია გალერეა მისაღები და ჰოლი
საცხოვრებელი ზონა - სადაც განთავსებულია მისაღები საძინებლები და სამზარეულო
მთავარი დამახასიათებელ სივცით ელემენტს წარმოადგენს ორმხრივი განათების მქონე მისაღები,გახსნილი სივრცე ვიტრინები რომლებიც იატაკიდან ჭერამდეა გაჭიმული და კიბეები რომლებიც პანდუსს წააგავს.

ლე კორბუზიეს “villa le lac” (იხ.სურ 13,14)
კორბუზიე რომელიც ცნობილია, როგორც ყველაზე ცივი და მკაცრი არქიტექტორი შექმნა ყველაზე მგრძნობიარე წიგნი პატარა სახლზე, რომელიც თავის მშობლებს მიუძღვნა.აღსანიშნავია, რომ კორბუზიეს მშობლების სახლის პროექტი მანამდე ჰქონდა შექმნილი ვიდრე ადგილს შეარჩევდა.მხოლოდ დიდი ძიების შემდეგ იპოვნა ისეთი ადგილი, რომელიც მის პროექტს შეესაბამებოდა. ამ სახლშიც კარგად სჩანს დამოკიდებულება არქტექტორსა და სახლის მფლობელს შორის.მან შეინარჩუნა მკაცრი სტილი თუმცა სითბო გამოხატა გარემოთი სახლი თავის მშობლების ხასიათის გათვალისწინებით შექმნა მათი წეს ჩვეულებებისა და გემოვნების შესაფერისად, რის გამოც გამოვიდა ასეთი ინდივიდუალური და განსხვავებული მისი ხედვისაგან. გეგმარება გრძივად და სწორხაზოვნადაა განლაგებული ერთ სართულზე. ხოლო გარე ტერიტორია დაკვირვებითა და სიფაქიზითაა მოწყობილი.

1922-1931წ. ამ წლებს მელნიკოვი აყვავების პერიოდადმოიხსენიებს ამ პერიოდში მოახერხა მან საკუთარი სახლის შექმნა.(იხ.სურ. 17,18)ის გამუდმებით აკეთებდა ჩანახატებს და ესკიზებს თავისი სახლისთვის როგორი უნდა ყოფილიყო თავისი ოჯახისთვის კომფორტული და ამასთანავე სტუდია და სახელოსნო.
შენობა შესდგება ორი ცილინდრისაგან, რომლებიც ერთმანეთს კვეთენ. ერთი ცილინდრი მთლიანად შემინულია დიდი ვიტრინებით ხოლო მეორეზე ფიგურებიანი ექვსკუთხედი ფანჯრებია გამოყენებული, რომელიც შესანიშნავად ჭრის მზის შუქს და ოთახში შუქჩრდილთა არაჩვეულებრივ გამას გვთავაზობს.
შენობა სამი სართულისაგან შესდგება. პირველ სართულზე განთავსებულია მისაგები, სასადილო, სამზარეულო. ორი ოთახი რომლებიც გამოყიფილია მელნიკოვის ორი შვილისთვის სამეცადინოდ. ამავე სართულზეა განთავსებული დიასახლისის ოთახი სადაც ყველა საჭირო ნივთია განთავსებული.განსაკუთრებით აღსანიშნავია შენობაში სართულების სიმაღლეების ცვალებადობა. პირველი სართული 2,7 მ. ხოლო მეორე სართული რომელზეც განთავსებულია დიდი მისაღები ის უფრო მეტად მაღალია და წინ დიდი ვიტრინები აქვს . საძინებლები რომელიც ასევე მეორე სართულზეა განთავსებული მასაც იგივე სიმაღლე აქვს რაც პირველ სართულს.საძინებლები მელნიკოვმა უცნაურად გადაწყვიტა. ერთიანი სივრცე რომელშიც სამი საწოლი იდგა გამოყო ერთმანეთისაგან მხოლოდ მოძრავი ტიხრებით. საწოლების გარდა კი ოთახში არანაირი ავეჯი არ იდგა ტანსაცმელი რომელიც გარდერობში იყო მოთავსებული პირველ სართულზე განათავსა არქიტექტორმა.

ამ შენობაში ყველაზე გასაოცარი სწორედ არქიტექტორის სახელოსნო სტუდია აგმოჩნდა, რომელიც ბოლო სართულზეა განთავსებული მას წინ უზარმაზარი ტერასა აქვს.
ოთახში შემსვლელთა გაოცებას იწვევს 38 ფანჯარა რომლებსაც ექვსკუთხა ფორმა აქვთ და შუქჩრდილთა მრავალფეროვან გამას ქმნის.
სახლის ექსპერიმენტული განაწილება და უცნაურიმა ფორმამ განაპირობა ის, რომ ეს სახლი 1930-იანი წლების ყველაზე ცნობილი შენობაა.
თუმცა დღეს მას გარს აკრავს მრავალ სართულიანი შენობები რომლებიც თითქოსდა თავზე დაჰყურებენ და ჩრდილავენ მას.(იხ. სურ. 19,20)
ის ეფექტი რომელიც უნდოდა არქიტექტორს მოეხდინა მნახველებზე დაიკარგა დროსთან ერთად. ეხლა მხოლოდ მაღალ შენობებს შუა მოქცეული უცნაური ცილინდრია.

ჩვენ მოგახსენებთ სახლებზე, რომლებიც ტიპობრივი საცხოვრებელის ანტიპოტებს წარმოადგენენ, ისინი ეფუძნებიან პექტირების ინდივიდუალურ მოდელს, ავტორისა და დამკვეთის მჭიდრო კონტაქტს. სამწუხაროდ ბევრი მათგანი არა ხანგამძლეა, ზოგი მათგანი ადვილად ქრება მეხსიერებიდან მაგალითისათვის კი მინდა წარმოგიდგინოთ ედუარდო კატალანოს საცხოვრებელი სახლი. (იხ.სურ. 21,22)
შენობა მდებარეობს კაროლინაში და აშენებულია 1954წ.
ამერიკელი არქიტექტორის საცხოვრებელი სახლი, რომელიც საინტერესო იყო მისი ორიგინალური გადახურვით სამწუხაროდ განადგურებული იქნა 2001წ. წარუმატებელი მცდელობების შემდეგ რომელიც ადგილობრივმა ძეგლთა დაცვის სამსახურმა განახორციელა.
ერთი მეორეს მიყოლებით იკარგება სამწუხაროდ შუა საუკინის შესანიშნავი არქიტექტურული ნამუშევრები, თმცა ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ უმეტესონა შენობებისა დროის მსხვერპლნი კი არა არამედ უბრალოდ ბულდოზერების მსხვერპლნი გახდნენ. ვინ წარმოიდგენდა თუ მე-20 საუკუნის ერთ ერთი შესანიშნავი შენობა გახდებოდა დაუდევრობისა და უყურადღებობის მსხვერპლი.თუმცა ჩნდება ახალი სახელგანთქმული არქიტექტურული შენობები, რომლებიც უფრო მეტად პასუხობენ დროს. ისინი ქმნიან სხვადასხვა მიზეზით და სხვადასხვა მიზნებისათვის: საცხოვრებლად, ცხოვრებაში წარმატებისა და სიამაყის სიმბოლოდ, ან უბრალოდ მოგვწონდეს და გვიყვარდეს.დაიწყო ძიება ფორმათწარმოქმნის ახალი მეთოდებისა ასეთი მაგალითები მრავლადაა ჩვენს გარშემო და მათგან სულ მცირეს შევეცდებით წარმოგიდგინოთ;

დღეს სივრცე ხდება რთული კომპიუტერული ტექნოლოგიებით მიიღება. მრუდხაზოვანი მოცულობები რომელთა შექმნა ჩვეულებრივი მეთოდებით

შეუძლებელი იყო. იქმნება სახლები, რომლებიც თავად წარმოადგენენ ხელოვნების ნიმუშებს და სწორედ ამის მაგალითია:

ფრენკ გერი

არქიტექტორ ფრენკ გერის საკუთარი საცხოვრებელი სახლი, რომლის რეკონსტრუქციამაც დაუდო საფუძველი "დეკონსტრუქტივიზმს" 1977-1979წ.
ფრენკმა რეკონსტრუქცია გაუკეთა თავის საცხოვრებელ სახლს და სამზარეულო გამოიტანა გარეთ, რომელსაც გაუკეთა საინტერესო გადახურვა.(იხ.სურ 23) ჩვეულებრივ ოთხკუთხა გადახურვაში ჩასვა მინის კუბი დახრილად. სწორედ ამ უცნაურმა ფორმამ მიიპყრო ყურადღება და ის თანდათანობით გახდა პოპულარულ მიმართულებად. გარდა ამისა გერის ამ პროექტში საინტერესოა ის იაფ ფასიანი მასალები რომელიც მას აქვს გამოყენებული ე.წ გოფრირებული თუნუქი და ფანერა. მან დაიწყო სხვადასხვა სახლებზე მუშაობა და დიდი წარმატებითა და პოპულარობით სარგებლობდა.

თუ გარემოში დომინანტი ბუნებაა მაშინ არქიტექტორები ცდილობენ ისარგებლონ ამ შესანიშნავი საშუალებით და შექმნან ერთიანი ანსამბლი ბუნებისა და არქიტექტურის. ჩვენ ვიცით არა ერთი მაგალითი თუ როგორ ერგება ბუნებას არქიტექტურა და როგორ ქმნის ერთიან ჰარმონიულ ანსამბლს.ამ უამრავი მაგალითებისგან რამოდენიმეს წარმოგიდგენთ

მიკი მენინგ

74 წლის გამოცდილმა არქიტექტორმა მიკი მენინგმა შეასრულა კიდევ ერთი განსაცვიფრებელი პროექტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა კალიფორნიაში.(იხ.სურ 24) ადგილმდებარეობა საკმაოდ სახასიათო და რთულია. რელიეფი და ბუნებრივი კლიმატი ერთმანეთთან თანხვედრაში მოდიან. მთა რომელზეც შემდგომ პროექტია შესრულებული ნისლით არი მოცული. ამ ადგილას ხშირია მიწისზვრები და წყალდიდობები, მაგრამ ამ რთულ ამოცანას არ შეუშინდა მოხუცი არქიტექტორი და შექმნა ნამდვილი ბუნების განუყოფელი ნაწილი, რომელიც ყველა ამ სირთულეს მარტივად ლახავს და გარდა ამისა არაჩვეულებრივად ერგება გარემოს. სახლის მწვანე სახურავზე ოციოდე სახეობის ადგილობრივი ნარგავია გამოყენებული, რომელიც კიდევ უფრო აახლოვებს ბუნებასთან შენობას. არქიტექტორს ასევე გამოყენებული აქვს გათბობის სისტემა, რომელიც დამონტაჟებული აქვს სახურავზე და მზის საშუალებით უზრუნველყოფს მთელ შენობას.

არანაკლებ საინტერესოა ასევე მიკი მენინგის ნამუშევარი რომელსაც “bird’s eye view” უწოდებენ(იხ.სურ 25). სახლი მდებარეობს კალიფორნიის ცენტრში.სახელი კი მან თავისი არაჩვეულებრივი ხედის გამო მიიღო, რადგან შენობა კლდოვან რელიეფზეა აღმართული და ოკეანეს გადაჰყურებს არქიტექტორმა გამოიყენა ხედი და გახსნა მთლიანად მაღალი ვიტრინებით.

რობერტ ხარვი ოშათცი

როგორც გერმანელმა ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ვან შელინგმა თქვა:”არქიტექტურა არის გაქვავებული მუსიკა” თუ ჩვენ ამ გამოთქმას დავეთანხმებით მაშინ რობერტ ოშათცი ნამდვილი ვირტუოზი ყოფილა. არც თუ ისე ცნობილი არქიტექტორი თუმცა მისი ნამუშევრები აუცილებლად იმსახურებენ ყურადღებასა და კომენტარებს.უილკინსონის საცხვრებელი სახლი ორეგონის შტატში.(იხ.სურ 26)მისი არქიტექტურა გამორჩევა სიმსუბუქითა და განსაკუთრებული დამოკიდებულებით ბუნებისადმი და ამავ დროულად მისი ნამუშევრები რადიკალურადაა განსხვავებული სხვებისაგან.ის ძირითადად საცხოვრებელ სახლებს აპროექტებს. არქიტექტორი ძირითადად ბუნებრივ სტანდარტულ მასალებს იყენებს პროექტების დროს ხეს და ქვას თუმცა მისი არქიტექტურული ფორმები რადიკალურად განსხვავდება მასალისაგან. ფორმები უცნაური და არასტანდარტულია.
ტალღოვანი და მრუდე ფორმები ანიჭებს მის ნამუშევრებს ორგანულ სტილს. “არქიტექტორი არის მხატვარი, შემოქმედი, რომელიც გვიჩვენებს ესტეთური სტრუქტურების ევოლუციას “რომერტ ოშათცი.

რობერტ ოშათცის კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი ბუნებასთან არქიტექტურის შერწყმისა გახლავთ გიბსონების სანაოსნო სახლი.(იხ.სურ. 27)
ამ ადგილას გიბსონებს ქონდათ ძველი სახლი, რომელიც საერთოდაც არ მიესადაგებოდა არსებულ ბუნებას, ამიტომაც გადაწყვიტეს ახალი სახლის აშენება სადაც ნავსაყუდელთან ერთად სტუდიაც იქნებოდა. არქიტექტორს რთული დავალება ჰქონდა შესასრულებელი რთულ რელიეფზე, მაგრამ დამერწმუნებით მან არაჩვეულებრივად გაართვა თავი ამ დავალებას და მოარგო შენობა არსებულ ბუნებას. მან შესანიშნავად გამოიყენა შენობის გადახურვა, რომელიც ინტერიერშიც შედის და მისი ნაწილიც ხდება. ამით მან გააერთიანა გარე ფასადი და ინტერიერი.არქიტექტორს ძირითადად ბუნებრივი მასალები აქვს გამოყენებული (ქვა, ხე და მინა) . გეგმარება ისევე როგორც სახურავი მიყვება ტბის ბსკერის მრუდ ფორმას. სტუდიას მინის უზარმაზარი ვიტრაჯები აქვს რომელიც ტბას უყურებს.

არქიტექტორები გვანებივრებენ მათი უკიდეგანო ფანტაზიითა და ფაქიზი დამოკიდებულებით ბუნებასთან.

კენ კელოგი

არქიტექტორი **კენ კელოგის** ნამუშევარი კალიფორნიის უდაბნოში, რომელიც აშენებულია 1980წ.(იხ.სურ.28)ეს არის თვალსაჩინო მაგალითი ორგანული არქიტექტურისა. მან პერსონალურად დააპროექტა, როგორც შენობია ასევე ინტერიერის ყოველი უმცირესი დეტალი; ავეჯიდან დაწყებული კარის სახელურით დამთავრებული.არქიტექტურა გახდა ამ ადგილის განუყოფელი ნაწილი. თითქოს შეავსო ამ უდაბნოს კლდოვანი ნაწილი და დაასრულა კომპოზიცია. სახლი თავისუფლადაა შესაძლებელი მომავალში მუზეუმადაც რომ იქცეს თუმცა ჯერ იქ ბედნიერი ოჯახი ცხოვრობს, რომელთა განუყოფელ ნაწილად იქცა ეს სახლი.

რობერტ ბრუნოს

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისთვის ზოგჯერ შეიძლება მასალამაც იქონიოს გავლენა და სწორედ უცნაური მასალის გამოყენების გამო იქცეს ის სანახაობრივ და საინტერესო შენობად სწორედ ასეთი მაგალითია ფოლადის სახლი (steel house)(იხ.სურ. 29)
პროექტი ეკუთვნის არქიტექტორმოქანდაკეს და მხატვარს რობერტ ბრუნოს.ეს უჩვეულო ნაგებობა მდებარეობს კანიონის პირზე, ახლოს ქალაქ ლაბოკასთან ტეხასის შტატში. ამ ფოლადის სახლის მშენებლობა არქიტექტორმა დაიწყო ჯერ კიდევ 1974წ. მშენებლობა გრძელდებოდა 23 წელი. ამ ხნის განმავლობაში რობერტ ბრუნომ გამოიყენა 100 ტონა ფოლადზე მეტი. სახლს აქვს უჩვეულო გეგმარება არა მარტო იერსახით, არამედ შიდა სათავსოებითაც.2008 წელს არქტექტორის გარდაცვალების შემდეგ შენობა მოქმედებს როგორც ორიგინალური არქიტექტურის მუზეუმად და წარმოადგენს ტეხასის შტატის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას. ფოლადის სახლის აშენების იდეა არქიტექტორს დაებადა ფოლადის ქანდაკებაზე მუშაობის შემდეგ. ის დააფიქრა აზრმა შეიძლება თუ არა ამ სკულპტურის შიგ ცხოვრება. შენობა იყო აგებული ფოლადის ფირფიტებისაგან. იგი რელიეფს მორგებულია ხიმინჯებით და მის ქვემოთ არსებული სივრცე ავტოსადგმადაა გამოყენებული.

არქიტექტორების ჯგუფმა რომლებიც მუშაობენ სტუდია ‘seARCH’ და “christian muller”- თან გასცეს საინტერესო კითხვას პასუხი: არის თუ არა მიწისქვეშ ცხოვრება შესაძლებელი და ისეთივე კომფორტული, როგორც მის ზემოთ? . მათ დააპროექტეს შვეიცარიაში ინდივიდუალური

საცხოვრებელი სახლი, რომელიც მთლიანად მიწის ქვემოთაა განთავსებული.(იხ.სურ 30, 31) მას მრგვალი ფასადი აქვს და მთლიანად ბუნების ნაწილს წარმოადგენს. სახლი არც კი ჩანს შორიდან, ხოლო სახლიდან კი არაჩვეულებრივი ხედი იშლება.რადგან ეს ადგილი საკურორტო ზონას წარმოადგენს პროექტის დამტკიცებას როგორც წესი დიდი დრო მიაქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში არც ი დაჭირვებიათ რაიმე დრო რადგან სახლი არც რაიმეს უშლის ხელს და ერთი ფასადის გარდა მას სხვა ხედი არც კი აქვს. იგი მთლიანად ბუნების ნაწილია. სახურავის ფუნქციას თვითონ ლანდშაფტი ასრულებს.

მიწის ზედაპირის გამოყენება როგორც მასალა შენობის სახურავისა არა ერთ არქიტექტორს უცდია.გარი ნევალაც სწორედ მათ რიცხვში შედის. მისი პირველი ამოცანა გახლდათ მაქსიმალურად მცირე კონსტრუქცია რათა არ დაფარულიყო ბუნებრივი ფერწერული გარემო. სწორედ აქედან გამომდინარე გადაწყვიტა არქიტექტორმა შენობის მიწის ქვეშ განლაგება. გარდა ამ სახლის უცნაური ფორმისა ის განთქმულია თავისი მეპატრონის სახელითაც. ეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ეკუთვნის ინგლისელ ცნობილ ფეხბურთელს გერი ნევილს(იხ.სურ 32,33). შენობის ფორმა წააგავს ხუთ ფურცლიან ყვავილს, ეს ფორმა დაეხმარა არქიტექტორს გაენაწილებინა ოთახები და დაეყო ზონებად.

- ოთხი საძინებელი
- სასადილო
- მისაღები ოთახი
- სამზარეულო
- შიდა ეზო

შიდა ეზო აკავშირებს ამ ოთახებს ერმანეთთან და ერთიანობას სძენს მთლიანად შენობას. ყვავილის მსგავში სახლის დანახვა მხოლოდ დიდი სიმაღლიდანაა შესაძლებელი. ის გაერთიანებულია ბუნებაში და მას მხოლოდ მე-5 ფასადი აქვს.მისი კედლები და სახურავი თავად ბუნებაა.

არქიტექტურული ნამუშევრები ხშირად გვაგონებენ რაიმე ნივთს, საგანს ან თუნდაც სულიერ არსებას. ამ მსგავსებით თითქოს უფრო მეტად უახლოებენ შენობას გარემოს და აცოცხლებენ მას. უსულო არქიტექტურულ ნაგებობას სულს შთაბერავენ და სხვადასხვა ასოციაციებს იწვევენ. ასეთი მაგალითი მრავლადაა. და მაგალითისათვის არქიტექტურულმა სტუდია “undercurrent architects” შექმნა შენობა მსგავსი ფოთლებისა, (იხ.სურ 34,35)რომელიც მდებაეობს სიდნეიში. სახლის შიგნით იხვევა დინამიური სტრუქტურა მოგვაგონებს დახლართულ ვაზს. შენობის სახურავი ფოთლოვანია და სხვადასხვა დონეებითაა წარმოდგენილი

კედლები მთლიანად მინითაა შესრულებული ამიტომ მასში გადის სინათლე და სრულებით ტერასის შთაბეჭდილებას გვიქმნის.დამკვეთების მოთხოვნა იყო, რომ რაც შეიძლება გახსნილი მსუბუქი და ბუნებასთან შერწყმული ყოფილიყო შენობა. მათ სურდათ სახლი ე.წ 'show room'- ის მსგავსი ყოფილიყო სადაც როგორც წესი წარმოდგენილია ხოლმე სხვადასხვა ნამუშევრები მასალები თუ პროექტები. ამ შემთხვევაში კი წარმოდგენილი თავად გარემო ბუნებაა. საინტერესო გადაწყვეტა და არაჩვეულებრივი კონსტრუქციული ნამუშევარი მნახველთა აღფრთოვანებასა და გაოცებას იწვევს.

გასაოცარი სანახავია ასევე სახლი რომელიც ფოთლების მაგივრად მთვარეს წააგავს და მას სწორედ ასევე უწოდებენ "მთვარის სახლი ბეტონისაგან" შენობა მდებარეობს ქ. მელბურნში და დაპროექტებულია არქიტექტორ ანტონიო გარდილიოს მიერ 2009წ.(იხ.სურ 36,37)
"სახლი მთვარე" (ან როგორც ორიგინალში უწოდებენ "concrete moon house") შედგება ორი ზონისაგან: საზოგადოებრივი ზონა, რომელიც ზღვის მხრიდან მოგვაგონებს გადაბრუნებულ ნავს ან მთვარეს. გეგმაში მოგრძო ფორმისაა და მას შიდა ეზოც აქვს რომელიც არ არის განკუთვნილი ავტოსადგომისთვის.და მეორე ზონა რომელიც საცხოვრებელს წარმოადგეს. ეს ორი ზონა იმის და მიუხედავად, რომ განსხვავდებიან ფუნქციონალურად ერთმანეთისაგან, დეტალები მეორდება და ამითი იქმნება შენობის ერთიანობა. სწორედ არქიტექტორის ამოცანას ეს გახლდათ: შეექმნა ორი განსხვავებული ზონა და მსგავსი დეტალებით გაეერთიანებინა შენობა.ინტერიარი მკაცრი და უბრალო თუმცა მთელ ყურადღებას იქცევს მრავალფეროვანი ორიგინალური გადახურვა რომელიც აცოცხლებს ინტერიერს.

80-იან წლებში ცნობილმა დიზაინერა პიერ კარდენმა მოისურვა შეეძინა სახლი საფრანგეთის რივიერაზე. მისი ყურადღება მიიპყრო ფრანგი კაპიტალისტის მშენებარე სახლმა. მეპატრონის სიკვდილის შემდეგ კარდენმა შეისყიდა მშენებარე სახლი და მოიწვია არქიტექტორი ანტი ლოვაგა რათა თავისი შთაგონების სახლი დაეპროექტებინა. (იხ.სურ. 38)მშენებლობას თავად პიერ კარდენიც აყოლებდა თვალყურს. შედეგად მივიღეთ უცნაური არქიტექტურა მრგვალი ფორმებითა და დაემსგავსა კოსმიურ ხომალდს. თავად პიერ კარდენის შთაგონება სფერო იყო მას უნდოდა არქიტექტურაც და ინტერიერიც სფეროს მსგავსი ყოფილიყო.და მან სწორედ ასეთი სახლი მიიღო შედეგად. რამდენად სამაგალითო არქიტექტურაა ეს ნამდვილად სადაო თემაა თუმცა ეს მაგალითი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ შეიძლება არქიტექტურა მოერგოს პიროვნების ამ შემთხვევაში დამკვეთის გემოვნებასა და მის პროფესიას
ყოველი არქიტექტორი როდესაც აპროექტებს თავის საკუთარ საცხოვრებელ სახლს, ცდილობს გამოხატოს თავისი პიროვნება ხასიათი ან თუნდაც

შესაძლებლობა. სადამდე შეიძლება მივიდეს არქიტექტორის ფანტაზია?რის უფლებას აძლევენ არქიტექტორები თავის თავს და რა საშუალებებს იძლევა კონსტრუქციები. გასაოცარი მაგალითები გვხვდება ზოგი სიცილს მოგვგვრის სახეზე ზოგიც კი გაღიზიანებას იწვევს. ზოგი შენობის სანახავად ტურისტები ათობით კილომეტრს გადიან მათთან სურათებს იღებენ და შესანიშნავი მოგონებები რჩებათ.ასეთი უცნაური არქიტექტურიდან შემოგთავაზებთ რამოდენიმეს.
ავსტრიელი არქიტექტორი მარკუს ვოგლრაიტერი ალბათ ავტომობილების მოყვარულია რადგან თავისი საცხოვრებელი სახლი სწორედ ამ ფორმისაა.(იხ.სურ 39)

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი აღარ არის უბრალო სახლი, ეს არის ფერწერა, ერთგვარი პლასტიკური პოემა, რომელშიც მხატვრები (თუნდ მოქანდაკეები ან ფერმწერნი) ფართოდ შლიან და დემონსტრირებას უკეთებენ ოსტატობის იშვიათ ნიმუშებს. აქვე ჩავურთავთ ფრანკ ლოიდ რაიტს: “უნდა შეიქმნას საცხოვრებლის იმდენი ტიპი, რამდენი სხვადასხვაგვარი ადამიანიც არის; მათში უნდა იყოს იმდენი განმასხვავებელი თავისებურება , რამდენი განსხვავებული ინდივიდუალურობაც არსებობს.’
სწორედ ამიტომ არის ასეთი სახლები განსაკუთრებულნი, უნიკალურნი და განუმეორებელნი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. мищел рагон- “о современной архитектуре” 1963
2. арнолъд уиттик – “европейская архитектура XX века” 1964
3. и. анисимова – “уникалные дома от райта до гери” 2009